

სახელმწიფოებთან ურთიერთობის მდივნის მისი აღმატებულება მონს. პოლ რიჩარდ გალაგერის მოხსენება

*„წმიდა საყდრის დიპლომატია და მისი ძალისხმევა მშვიდობისა და ადამიანის
ღირსების სამსახურში, განსაკუთრებით კავკასიის რეგიონში“*

(თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

2018 წლის 23 ოქტომბერი, 11:00 საათი)

თქვენო აღმატებულებანო,
საუნივერსიტეტო, პოლიტიკურო და რელიგიურო ხელისუფალნო
აღმატებულო ელჩებო,
მვირფასო სტუმრებო,
ქალბატონებო და ბატონებო,
მვირფასო სტუდენტებო,

საქართველოში ჩემი ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, სიამოვნებით დავთანხმდი შეხვედროდი ამ სახელოვანი უნივერსიტეტის სამეცნიერო საზოგადოებასა და ყველა ღრმადპატივცემულ დამსწრეს, მათ შორის, პოლიტიკური და რელიგიური ხელისუფლების წარმომადგენელთ, ქვეყანაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წევრებს. სანამ ჩემს მოხსენებას დავიწყებდე, რომლის მიზანია წარმოვაჩინო წმიდა საყდრის დიპლომატიური ძალისხმევა მშვიდობისა და ადამიანის ღირსების სამსახურში და განსაკუთრებული აქცენტი გავაკეთო კავკასიის რეგიონზე, ნება მიბოძეთ გადმოგცეთ პაპ ფრანცისკეს გულითადი სალამი, რომელიც, როგორც გახსოვთ, 2016 წელს მომლოცველად ეწვია თქვენს ქვეყანას, უწოდა რა მას „კურთხეული მიწა, კულტურათა და ცივილიზაციათა შეხვედრისა და საციცოცხლო ურთიერთგაცვლის ადგილი, რომელმაც ქრისტიანობაში ჰპოვა თავისი სიღრმისეული მეობა და საკუთარ ფასეულობათა მყარი საფუძველი“ (*სიტყვა, წარმოთქმული ხელისუფლების წარმომადგენლებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან და დიპლომატიურ კორპუსთან შეხვედრისას, თბილისი, 30 სექტემბერი, 2016 წ.)*

ჩვენ ვიმყოფებით საქართველოს ყველაზე სახელოვან სასწავლებელში, მთელი კავკასიის მასშტაბით პირველ სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც წელს ზეიმობს თავისი დაარსების ას წლისთავს, რითაც გარკვეულწილად ეხმიანება მთელი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს მოვლენას - რუსეთის იმპერიის დამხობის კვალდაკვალ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების ერთსაუკუნოვან იუბილეს. იმ დღეს აღსრულდა ქართველთა ოცნება კვლავ მოეპოვებინათ თავისუფლება და აღედგინათ თავიანთი უძველესი სამშობლოს სრული დამოუკიდებლობა უცხო ქვეყნებისგან. სამწუხაროდ, ეს სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა - თანახმად

ისტორიული წყაროებისა, სუვერენიტეტის აღდგენის სულ სამიოდე წლის თავზე და ახალი კონსტიტუციის მიღებიდან რამდენიმე დღეში, 1921 წლის 25 თებერვალს, წითელი არმიის მეთერთმეტე დივიზიამ დაიკავა თბილისი, და მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას, კანონიერი ხელისუფლების რამდენიმე წევრთან, დამფუძნებელი კრების დეპუტატებთან, სამხედრო ოფიცრებთან და მათ ოჯახებთან ერთად, ფრანგული გემით თურქეთში გაიქცა და პარიზისკენ აიღო გეზი, საიდანაც აღარასოდეს დაბრუნებულა (მდრ. ქეთევან ანდლულაძე, „ევროპული ოცნება“, გაზეთი „ოსერვატორე რომანო“, 2018 წლის 15 ივნისი, გვ. 8). ქართველმა ხალხმა თავისუფლების ჰაერი მთელი სისრულით მხოლოდ გასული საუკუნის 90-იან წლებში შეისუნთქა, როცა წინას ნანგრევებზე აღმოცენებული ახალი იმპერია კვლავ დაემხო.

დავუბრუნდეთ უნივერსიტეტის ამ სამუზეუმო დარბაზს, სადაც ამჟამად ვიმყოფებით და რომელიც პატივს მიაგებს ქვეყნის დამოუკიდებლობის ამ დიად იუბილეს. გავიხსენოთ, რომ ამ უმაღლესი სასწავლებლის დამფუძნებელ მამათა შორის იყო ცნობილი ქიმიკოსი, სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიების წევრი, პროფესორი პეტრე მელიქიშვილი, ქართველი კათოლიკე, რომელიც ამ უნივერსიტეტის პირველ რექტორად იქნა არჩეული. მისი პიროვნება კიდევ ერთი დასტურია იმ როლისა, რომელიც ქართველმა კათოლიკეებმა ითამაშეს საქართველოს ისტორიაში. მათ შორის განსაკუთრებით გამოვყოფდი პადრე მიხეილ თამარაშვილს, ქართველ კათოლიკე მღვდელსა და გამოჩენილ ისტორიკოსს, აგრეთვე მის არაერთ თანამოძმეს - პეტრე ხარისჭირაშვილს, დიმიტრი თუმანიშვილს, ძმებ ანტონიშვილებს, ანტონ გლახაშვილს. როგორ არ გავიხსენოთ ერთ-ერთი უდიდესი ქართველი კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი, ისიც რწმენით კათოლიკე, ქართული ეროვნული ოპერის მამამთავარი, რომლის ოპერა „დაისის“ ჰანგებზეც ძირითადად დაეფუძნა საქართველოს ეროვნული ჰიმნი? ამ და სხვა მრავალი ქართველი კათოლიკეს სახელი ხომ ოქროს ასოებით ჩაიწერა ქართველი ერის ისტორიაში.

ამ მოკლე შესავლის შემდეგ, მსურს გადავიდე ჩვენს ძირითად თემაზე - წმიდა საყდრის დიპლომატიაზე, რომელიც საუკუნეების მანძილზე თან სდევს პაპების მიერ მშვიდობისა და საყოველთაო კეთილდღეობის დასამყარებლად გაწეულ ძალისხმევას.

1. წმინდა საყდრის დიპლომატია მშვიდობის სამსახურში

შეგვიძლია დარწმუნებით განვაცხადოთ, რომ წმიდა საყდრის დიპლომატია სამშვიდობო დიპლომატიაა. ეს მისივე ბუნებიდან გამომდინარეობს, რომელიც იმთავითვე გულისხმობს ადამიანისადმი, ყოველი ადამიანისადმი და „სრულიად ადამიანისადმი“ მსახურებას, ნებისმიერი დისკრიმინაციისა თუ განსხვავებულობის გარეშე, ადამიანის ღირსების მხარდაჭერას, მის ყოველმხრივ განვითარებას. აკი სახარებაც გვასწავლის - ღვთიური სიტყვა კაცობრიობისადმი ყოველისმომცველ გზავნილად იქცა. მსოფლიოს ბილიკებზე მოარული და კაცობრიობის საერთო სიკეთისათვის მოღვაწე ადამიანი, საბოლოო ჯამში, საკუთარ თავთან, სხვებთან და ღმერთთან სამარადისო მშვიდობაში ცხოვრებისთვისაა მოწოდებული. ამგვარი რელიგიური, ქრისტიანული, ყოველგვარი ანგარებისაგან, ძალადობისაგან, აგრესიისა და შურისძიებისაგან თავისუფალი ხედვა წარმოადგენს იმ მშვიდობიან და უნივერსალურ ლაიტმოტივს, რომელიც ეგზომ დამახასიათებელია თანამედროვე მსოფლიოში კათოლიკური ეკლესიისა და მისი ინსტიტუტებისთვის და ამდენად, მისი დიპლომატიისთვისაც, რომელიც მუდამ ადამიანისა და საზოგადოების სასიკეთოდ იღწვის. ამავე დროს, იგი მთელი ისტორიის მანძილზე სულ უფროდაუფრო იხვეწება და თავისუფლდება იმ უზუსტობებისა და

შეცდომებისაგან, რომლებიც კაცობრიობის განვითარების ძნელადსავალ გზაზე დაგროვილა.

ამ ყოველივეს შედეგად კი მივიღეთ ის, რომ წმიდა საყდრის დიპლომატიას არავითარი ძალაუფლებრივი ინტერესი არ გააჩნია - არც პოლიტიკური, არც ეკონომიკური და არც იდეოლოგიური. იგი ცალკეული ქვეყნების დიპლომატიას როდი ჰგავს, რომლებიც ზრუნავენ საკუთარ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო, ტერიტორიულ თუ იდეოლოგიურ ინტერესებზე, ეძებენ მოკავშირეებს, რეკლამირებენ საკუთარ კულტურას, ხელოვნებას, სამზარეულოს და ა.შ. წმიდა საყდრის დიპლომატია პირიქითაა. მართალია, საერთაშორისო ურთიერთობებში მას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, მით უმეტეს, რომ ისტორიულად წმიდა საყდარი საერთაშორისო სამართალის სუბიექტის სტატუსით სარგებლობს. და მაინც, წმიდა საყდრის დიპლომატია, უპირველეს ყოვლისა, საყოველთაო ეკლესიის დიპლომატიაა, ეკლესიისა, რომელიც ყველა იმ ერს მოიცავს, რომელიც ღია თავისუფლების, ადამიანის უფლებებისა და საერთო კეთილდღეობის უზენაესი ღირებულებებისადმი. იგი სამოქალაქო სახელმწიფოსთან დაკავშირებული არაა და, ამდენად, არც რაიმე მიწიერ ხელისუფლებაზეა დამოკიდებული. წმიდა საყდარი ტერიტორიულად მსოფლიოს ყველაზე მცირე სახელმწიფოში - ვატიკანის ქალაქის სახელმწიფოშია განთავსებული, რომლის ფართობიც სულ 44 ჰექტარია და რომელიც, თავის მხრივ, როგორც ამას მისი ძირითადი კანონის პრეამბულა გვამცნობს, *ფუნქციონალური სახელმწიფოა, რომლის არსებობაც „სამოციქულო საყდრის თავისუფლების საიმედო გარანტიაა და წარმოადგენს რომის კონტიფესის ჭეშმარიტი და ხილული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის საშუალებას მსოფლიოში პაპის მისიის განხორციელების საქმეში“.*

ამიტომაც, წმიდა საყდრის დიპლომატიას ხელეწიფება უფრო თავისუფლად წარუდგინოს ერთი მხარის არგუმენტები მეორე მხარეს და თითოეულ მათგანს წარმოუჩინოს ის საფრთხე, რომელიც მხოლოდ საკუთარ თავზე ორიენტირებულ ხედვას მოაქვს ყველასთვის. შესაძლოა უცნაურად გვეჩვენოს, მაგრამ სრული ჭეშმარიტებაა, რომ წმიდა საყდარი არასოდეს ეძიებს საკუთარ ინტერესს, არასოდეს დარბის აქეთ-იქით, რათა არც აქეთ დაკარგოს რამე და არც იქით. ადამიანურად ეს ძნელი განსახორციელებელია, სახარებისეულად კი სავალდებულოა, რათა მხარეებმა დიალოგი წამოიწყონ და ყუმბარებზე ადრე ურთიერთსიმულვილის მსხვერპლად არ იქცნენ (მდრ. ჯანფრანკო ბრუნელი, *ინტერვიუ კარდინალ პიეტრო პაროლინთან: მოსკოვი და პეკინი, ჟურნალი „Regno Attualità“, 15.07.2017, გვ. 385).*

თანამედროვე მსოფლიოს სხვადასხვა სახის დაპირისპირებები ტანჯავს: პირდაპირი თუ გარეშე ძალებით პროვოცირებული ომები, სამოქალაქო ომები, ჰიბრიდული ომები, გაყინული და დროში გაწელილი კონფლიქტები, რომლებიც ხშირად საერთაშორისო დაპირისპირებაში გადაიზრდება ხოლმე. ამგვარ გაურკვეველ სიტუაციას, არაერთი დიდი, საშუალო თუ მცირე აქტორის მონაწილეობით, რომლებსაც სხვადასხვა და, არცთუ იშვიათად, ერთმანეთის საწინააღმდეგო ინტერესი ამოძრავებთ, მივყავართ ფართომასშტაბიან დაპირისპირებამდე, რომელსაც კარგად მიესადაგება პაპ ფრანცისკეს მიერ ხშირად გამოყენებული განსაზღვრა: „დანაწევრებული მესამე მსოფლიო ომი“. ზოგჯერ, გეოპოლიტიკური ვითარება იმდენად დანაწევრებული და პოლარიზებულია, მხარეთა შორის ურთიერთობები კი იმდენად მწირი, რომ გამოსავლის პოვნა ძალზე ძნელია. ნურც ფულის მასისა და იარაღის ნაკადებს დავივიწყებთ, რომლებიც ხშირად ხელს უწყობენ კონფლიქტებს. როგორღა მოვუწოდოთ კონფლიქტის მხარეებს კორექტულობისკენ, თუკი მათ იარაღით ვამარაგებთ? სწორედ ამაზე საუბრობდა პაპი ამერიკის კონგრესში გამოსვლისას (24.09.2015): „დიალოგისა და მშვიდობის მხარდაჭერა ნიშნავს მსოფლიოში

მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტების შემცირებისა და, საბოლოო ჯამში, დასრულების გულწრფელ სურვილს. ისმის კითხვა: მაშ რატომღა ვყიდით სასიკვდილო იარაღს მათ, ვინც ცდილობენ აურაცხელი ტანჯვა-ვაება მოუტანონ ცალკეულ ადამიანებსა თუ მთელ საზოგადოებას? სამწუხაროდ, და ეს ყველას კარგად მოგვეხსენება, ამ კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხი არსებობს - ეს ფულის გულისთვის კეთდება. სისხლით, ხშირად კი უდანაშაულო სისხლით გათხვრილი ფულისთვის. ამ სამარცხვინო და დანაშაულებრივი დუმილის წინაშე, მოვალენი ვართ ხმა აღვიმადლოთ და შევწყვიტოთ იარაღით ვაჭრობა“.

დიახ, იარაღი შესაძლოს ხდის ომებს, ომები კი, თუნდაც მცოცავი ხასიათისა, უამრავ უბედურებას წარმოშობს: ლტოლვილთა ნაკადს, ნგრევას, სიღატაკეს, შიმშილს, უკუსვლას. ნაომარ ტერიტორიებზე არც წესრიგია, არც განვითარება, არც მშვიდობა. პაპი მუდამ შეგვახსენებს, რომ წმიდა საყდარი ისეთ დიპლომატიას უჭერს მხარს, რომელიც ადამიანებსა და ხალხთა შორის სოლიდარობას ამკვიდრებს, რასაც იარაღის, ძალადობისა და ტერორის ალტერნატივად მიიჩნევს. წმიდა საყდარი ემხრობა დიპლომატიას, რომელსაც დიალოგი, თანამშრომლობა და შერიგება მოაქვს და უარს ამბობს ურთიერთპრეტენზიებზე, ძმთამკვლელ დაპირისპირებებზე, ერთმანეთისგან მტრის ხატის შექმნასა და მეორე მხარის სრულ იგნორირებაზე. ვემხრობით ისეთ დიპლომატიას, რომელსაც უნარი შესწევს ძალის გამოყენება შეხვედრითა და დიალოგით ჩაანაცვლოს. ერთი სიტყვით, საჭიროა ხელი შევუწყოთ უკეთეს ურთიერთგაგებას მხარეთა შორის, რომლებიც, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა ორ ურთიერთდაპირისპირებულ ძალად გადაიქცნენ. დიალოგის წამოწყება თავისთავად უკვე დადებითი მოვლენაა, რომელიც მხარეებს შეხვედრისა და ურთიერთნდობისკენ უბიძგებს.

მშვიდობის სამსახურში მდგარი დიპლომატიის შესახებ საუბრისას პაპმა ფრანცისკემ რამდენიმე ახალი ელემენტი შემოიტანა მათთან მიმართებით, ვინც დიპლომატიის რანგში მოწოდებულია მშვიდობის შემოქმედად იქცეს. ხალხთა მოციქულის, წმიდა პავლეს სიტყვებზე დაყრდნობით, პაპი გვთხოვს წავახალისოთ თავმდაბლობით, სინაზითა და სულგრძელობით განმსჭვალული ქმედებანი, რამეთუ „არ არსებობს მშვიდობა თავმდაბლობის გარეშე. სადაც ქედმაღლობაა, იქ ომიცაა, სხვისი დამარცხების სურვილია, სხვაზე მეტობის რწმენაა. თავმდაბლობის გარეშე მშვიდობაც არაა, უმშვიდობოდ კი ერთობა ვერ დამყარდება“ (მდრ. პაპი ფრანცისკე, *ქდაგება წმ. მართას სახლში*, 21.10.2016). ეს კარგი გაკვეთილია მათთვის, ვინც ყოველდღიურად იღწვიან საერთაშორისო ასპარეზზე, მათ შორის ჩვენთვისაც.

2. წმიდა საყდრის დიპლომატია ადამიანის ღირსების სამსახურში

წმიდა საყდრის დიპლომატია თავის საქმიანობის ცენტრში ადამიანს მოიაზრებს. ამიტომ, ცდილობს ყოველგვარ მიკერძოებულობაზე მალლა დადგეს და ესაუბროს ყველა ადამიანს, რომელიც იღწვის მშვიდობისა და განვითარებისათვის და პატივს სცემს ადამიანის უფლებებს. ამგვარი დამოკიდებულება სრულად ეხმიანება თავად კათოლიკური ეკლესიის მისიას, რომელიც ერთი ადგილობრივი ხალხით, კულტურით, ენით თუ ტრადიციით როდი იფარგლება, არამედ წარმოადგენს მთელი მსოფლიოსადმი მიმართულ საყოველთაო გზავნილს. სწორედ ადგილებისა თუ კულტურათა მიმართ „მიუკერძოებლობის“ გამო აფასებენ პაპის დიპლომატიას ეროვნული, რეგიონული თუ საერთაშორისო პოლიტიკის აქტორები. აკი აღვნიშნეთ კიდევ, რომ მას არავითარი საკუთარი ინტერესი არ გააჩნია და ამიტომ, უფრო იოლად ახერხებს შუამავლობასა და ყველა მხარესთან საუბარს.

წელს საერთაშორისო საზოგადოება ზეიმობს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღების 70 წლისთავს. ეს საიუბილეო თარიღი წმიდა საყდარს შთააგონებს მეტი შემართებით იღვაწოს ადამიანის სასიკეთოდ, მისი თანდაყოლილი ღირსების დასაცავად, რომლისგანაც მისი ყველა უფლება გამომდინარეობს. მართლაცდა, ადამიანის პიროვნება ხომ ყოველი უფლების საფუძველია. იმ კეთილშობილებას, რომელიც ადამიანს ბუნებრივად დაჰყვება, იმ პატივისცემას, რომელიც მას, საკუთარი ზნეობრივი ღირებულების მცოდნეს, თავისივე თავის მიმართ აქვს და რომელსაც თავისივე ადეკვატური ქცევით გამოხატავს, ის სიდიადე, რომელიც მას სხვათა მხრიდან პატივისცემის ობიექტად აქცევს, ამ ყოველივეს ჩვენ ადამიანის პიროვნების Rirsebas ვუწოდებთ, ყოველი ადამიანის ღირსებას! ეკლესია დიახაც დგას ამ ღირსების სადარაჯოზე, რადგან ამგვარი ხედვა სრულად მიესადაგება ქრისტიანულ მსოფლმხედველობას, რომლის თანახმადაც თავად ღმერთმა მიაჩნა ადამიანს ღირსება და ბრძანა პატივი ეცათ მისთვის. მართლაც, პაპმა ბენედიქტე XVI-მ, გაეროში გამოსვლისას, 2008 წლის 18 აპრილს, შეგვახსენა, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია არის „შედეგი რელიგიური და კულტურული ტრადიციების შერწყმისა, რომლებიც ადამიანის პიროვნებას ინსტიტუტების, კანონებისა და სოციალური აქტივობის გულად მოიაზრებენ და მას კულტურის, რელიგიისა და მეცნიერების მთავარ საფიქრალად სახავენ“. ამიტომაც, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია კათოლიკური ეკლესიის მიერ გაზიარებული და მხარდაჭერილი ანტროპოცენტრული მსოფლმხედველობის ნაწილია.

ამ გაგებით, წმიდა საყდრის დიპლომატია ადამიანის არა მხოლოდ „პოლიტიკური და სამოქალაქო“ უფლებებისთვის იღწვის, არამედ „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული“ უფლებებისთვისაც, რომლებიც ასევე გაცხადებულია ხსენებულ საყოველთაო დეკლარაციაში. როგორც გასულ თვეს სტრასბურგში ევროსაბჭოს მიერ გამართულ ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის მიღების 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაზე აღვნიშნე, „ადამიანის ყოველმხრივი განვითარების“ ცნებას ორი მნიშვნელობა აქვს. ერთი მხრივ, ეს ნიშნავს „განსაკუთრებულ ზრუნვას მოწყვლად, სოციალურად გარიყულ, უპოვარ თუ უმუშევარ ადამიანებზე, მიგრანტებსა თუ განათლების გარეშე დარჩენილ ახალგაზრდებზე, ძალადობის მსხვერპლ ქალებზე, ეულად დარჩენილ მოხუცებზე, ჯერ კიდევ დაუბადებელ ბავშვებზე, ინვალიდებზე; ზრუნვას, რომელსაც კათოლიკური ეკლესია თუ კათოლიკური სულისკვეთების არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ მთელ მსოფლიოში თავიანთი მრავალმხრივი საქველმოქმედო საქმიანობის საშუალებით. ეს ხდება საქართველოშიც, სადაც „საქართველოს კარიტასის“ მოღვაწეობამ დიდი აღიარება და, იმედია, დაფასებაც ჰპოვა. მეორე მხრივ კი, „ადამიანის ყოველმხრივი განვითარება“ გულისხმობს „სრულიად ადამიანის“ განვითარებას, ანუ ადამიანის განვითარებას მის ყოველ განზომილებაში, დაწყებული ელემენტარული საარსებო პირობებიდან და დამთავრებული განათლების, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის თუ საკუთარი რწმენისა და მრწამსის თავისუფლად აღსარების უფლებით. ადამიანისადმი ამგვარი მსახურებითა და მისი ყოველმხრივი განვითარების ამგვარი გაგებით, წმიდა საყდარი ცდილობს საკუთარი წვლილი შეიტანოს იმ გამოწვევებთან ბრძოლაში, რომელთაც დღეს ადამიანის უფლებათა დაცვა უყენებს საერთაშორისო საზოგადოებას.

მართლაცდა, თანამედროვე ისტორიულ კონტექსტში ხომ ადამიანის უფლებათა საყოველთაობის აღიარება არაერთხელ დამდგარა გამოწვევის წინაშე და სადაო გამხდარა. გავიხსენოთ მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში ადამიანის უფლებათა მუდმივი და უმძიმესი დარღვევები, რომლებიც ხშირად ეჭვის ქვეშ აყენებენ ადამიანის უფლებებზე დამყარებული სისტემის ეფექტურობას, სისტემისა, რომელსაც კაცობრიობის სასიკეთოდ უნდა ემუშავა და

მსოფლიოში მშვიდობა დაემყარებინა. როგორც ვიცით, კონფლიქტებმა და მათგან წარმოშობილმა ადამიანის უფლებების დარღვევებმა არც კავკასიის რეგიონს აუარა გვერდი. თანამედროვეობის ამ უდიდეს გამოწვევასთან გასამკლავებლად კი საჭიროა იმის შეგნება, რომ ჩემი და სხვისი უფლებები ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებულია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სხვისი უფლებების იგნორირებითა და ფეხქვეშ გათელვით, ჩემს უფლებებსაც საფრთხის ქვეშ ვაყენებ. ამიტომაც, თუ დედამიწის ყოველი მკვიდრისთვის სიკეთე გვინდა, ძმური სულისკვეთებით უნდა ვიღვაწოთ, რათა იმ მემკვიდრეობამ, რომელსაც ადამიანის უფლებები ჰქვია და რომელიც საერთაშორისო საზოგადოებამ სამოცდაათი წლის წინ, იმის საშინელებათა გამოვლის შემდეგ, ახალი წესრიგის საფუძვლად აღიარა, კვლავაც ახალი ჰორიზონტები გადაგვიშალოს ჩვენი საზოგადოებების მშენებლობაში, სავალდებულო ორიენტირად იქცეს ყველა პოლიტიკური ხელისუფლებისათვის და სავალი გზები მიუთითოს საერთაშორისო საზოგადოებას.

3. წმიდა საყდრის დიპლომატია და საქართველო

კონკრეტულად თქვენს რეგიონთან დაკავშირებით, უნდა განვაცხადო, რომ წმიდა საყდარი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა და უთმობს აღმოსავლეთ ევროპის პოსტკომუნისტურ ქვეყნებს და, ზოგადად, ახალ, პოსტსაბჭოურ პოლიტიკურ მოწყობას. საბჭოთა კავშირის პერიოდში, იმ პირობებში, როცა რელიგიურ თავისუფლებასთან დაპირისპირებული რეჟიმი და კომუნისტური პროპაგანდა ვატიკანს დასავლელი იმპერიალიზმისა და მშრომელი მასების მჩაგვრელ, აღვირახსნილი კაპიტალისტური სიმდიდრის ბასტიონად წარმოსახავდა, ურთიერთობები წმიდა საყდარსა და კავკასიის რეგიონს შორის, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, ფაქტობრივად არ არსებობდა. ცნობილია, რომ საქართველოში 1921 წლამდე არსებული მთავარი კათოლიკური ეკლესიებიდან (ორი თბილისში, სხვები კი ქუთაისში, ბათუმში, გორში, მანგლისში, ახალციხეში, უდეში, ვალესა და არალში), საბჭოთა პერიოდში მხოლოდ ერთი ფუნქციონირებდა და ისიც იმიტომ, რომ უცხოელების წინაშე თავი მოეწონებინათ რეგიონში არსებული მოჩვენებითი „რელიგიური თავისუფლებით“. ვგულისხმობ თბილისის წმ. პეტრე-პავლეს ეკლესიას, რომელიც პოლონელმა ემიგრანტებმა ააგეს 1877 წელს და რომელმაც, კომუნისტების პერიოდში, გადაარჩინა ქართული კათოლიციზმის „ნარჩენები“ და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მის აღორძინებაში ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ.

დიდხანს შეგვეძლო საუბარი იმ ეტაპების შესახებ, რომლებიც კათოლიკურმა ეკლესიამ გაიარა საქართველოში გასული საუკუნის ბოლო ათწლეულის და შემდგომი წლების მანძილზე, რათა კვლავ მოეპოვებინა წარსულში მისთვის ესოდენ დამახასიათებელი სიცოცხლისუნარიანობა, რომელიც თითქმის სრულიად დაიკარგა საბჭოეთის ბატონობის სამოცდაათი წლის მანძილზე. დღეს აქ დამსწრე მონსინიორ ჯუზეპე პაზოტოს, მონსინიორ რაფაელ მინასიანს, მამა ბენი იადეგარსა და სხვა მოწმეებს კარგად ახსოვთ რაოდენი ჯაფისა და ყოველდღიური ტანჯვა-ვაების გადატანა უწევდათ, რათა კათოლიკური საზოგადოებისთვის ის ძველი სულისკვეთება დაებრუნებინათ და, ამავე დროს, მისი აწმყო-მყოფადის აქტიურ მშენებლებად ქცეულიყვნენ. მადლობას მოვახსენებთ მათ რწმენის, ერთობისა და მშვიდობის სამსახურში, არა მხოლოდ კათოლიკეთათვის, არამედ მთელი ქართული საზოგადოებისთვის გაწეული ყოველდღიური შრომისთვის.

წმიდა საყდარი განსაკუთრებული ინტერესით ადევნებდა თვალს კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკურ თუ რელიგიურ მოვლენებს და მუდამ მზად იყო საქართველოს საპატრიარქოსთან ეკუმენური დიალოგისთვის. ჩვენ ყველას გვახსოვს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, ილია II-ის ისტორიული ვიზიტი ვატიკანში და მისი შეხვედრა წმინდა იოანე პავლე II-სთან, 1980 წლის 6 ივნისს. ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ, წმიდა საყდრის პირველი წარმომადგენელი მოსკოვში, წმიდა საყდრის დესპანი მონსინიორ ფრანჩესკო კოლასუონო არაერთხელ ეწვია საქართველოს 1991-1993 წლებში, რათა ახლოდან ედევნებინა თვალი აღორძინებულ ქართულ სახელმწიფოსა და კათოლიკეთა ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებისთვის. ქართველ კათოლიკეებს მაშინ ერთი სამრევლო სახლიც კი არ გააჩნდათ, რის გამოც ვატიკანელი სტუმარი ხან კათოლიკურ ოჯახებში ცხოვრობდა, ხანაც ევექარისტიელი მონაზვნების მოკრძალებულ საცხოვრებელში იდებდა ბინას, რომლებიც, მის მისაღებად, გვერდზე მყოფ წმ. პეტრე-პავლეს ეკლესიაში გადადიოდნენ საცხოვრებლად და საკურთხევის ფერხით იძინებდნენ.

დიპლომატიურ დონეზე, წმიდა საყდარმა იმთავითვე სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. იგი იმ ქვეყნების პირველ ათეულში იყო, რომლებმაც წარმომადგენლობები გახსნეს საქართველოში. 1992 წლის 24 მაისს წმიდა საყდრის ოფიციალურმა გაზეთმა ერთდროულად გამოაქვეყნა ცნობები დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ წმიდა საყდარსა და საქართველოს, სომხეთს, აზერბაიჯანსა და მოლდოვას შორის. ტექსტი გვამცნობდა: „წმიდა საყდარმა და საქართველომ, ურთიერთკავშირის მეგობრულად განვითარების მიზნით, გადაწყვიტეს დაამყარონ დიპლომატიური ურთიერთობა, წმიდა საყდრის მხრიდან ნუნციატურისა და საქართველოს რესპუბლიკის მხრიდან საელჩოს დონეზე“. ამასთან დაკავშირებით, გაზეთმა საქართველოს ისტორიისა და წმიდა საყდართან მისი წარსული ურთიერთობების მცირე მიმოხილვაც შემოგვთავაზა. (შდრ. „*ოსერვატორე რომანო*“, 24.05.1992, გვ. 1-2).

გასულ წელს ვიზეიმეთ ამ მნიშვნელოვანი მოვლენის 25 წლისთავი. ამავე დროს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოსა და რომის ეკლესიას შორის ურთიერთობები ისტორიის სიღრმიდან იღებს სათავეს და მხოლოდღა კვლავ მოპოვებული თავისუფლების ბოლო სამი ათეული წლით როდი შემოიფარგლება. სამოციქულო ტრადიციამ საქართველოში ქრისტიანული ხანის პირველივე საუკუნეებიდან გაიდგა ფესვი, და მიუხედავად აურაცხელი მტრისა, საქართველო თავგანწირულად იცავდა ამ ფასეულობებს, რომლებიც თავის კულტურაში, ენასა და ტრადიციებში ასახა, რაც, როგორც თბილისში სტუმრობისას თავის ერთ-ერთი გამოსვლისას პაპმა ფრანცისკემ აღნიშნა, „სრული უფლებით მიუჩენს საქართველოს ნაყოფიერსა და გამორჩეულ ადგილს ევროპული ცივილიზაციის წიაღში“ (*სიტყვა, წარმოთქმული ხელისუფლების წარმომადგენლებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან და დიპლომატიურ კორპუსთან შეხვედრისას*, თბილისი, 30 სექტემბერი, 2016 წ.).

სწავლულებს არაერთი ისტორიული ცნობა მოჰყავთ რომის პაპებსა და ქართველ მეფეთა ურთიერთმიმოწერისა, მათ შორის იმ წერილიც შესახებაც, რომელიც VII საუკუნის დასაწყისში კათოლიკოსმა კირიონ I-მა გაუგზავნა პაპ წმინდა გრიგოლ დიდს, რათა მისგან საჭირო რელიგიური რჩევები მიეღო. ურთიერთობები გაძლიერდა XIII საუკუნიდან, როცა, სხვადასხვა დროს, ქართველ მეფეთა მიერ მოწვეული ან უბრალოდ, აღმოსავლეთისკენ მიმავალი კათოლიკე ბერები საქართველოს სტუმრობდნენ და აქ საკულტო სახლებსა და ადგილებს ხსნიდნენ. თავიდან საქმე გვექონდა ფრანცისკელი და დომენიკელი, მოგვიანებით კი იეზუიტი ბერების ხანმოკლე მისიებთან. უფრო სტაბილურად დამკვიდრდნენ აქ ტეატელი და კაპუცინი ბერების ორდენები, რომლებიც საქართველოში

კეთილგანწყობით მიიღეს. ვატიკანის, კერძოდ კი, ხალხთა ევანგელიზაციის კონგრეგაციის არქივები უამრავ საინტერესო ცნობას ინახავს, რომლებშიც ეს ბერები საქართველოს კათოლიკური საკრებულოების ამბებს მოგვითხრობენ და რომლებიც დასავლეთში ქართული კულტურის გასაცნობად მეტად მნიშვნელოვან წყაროებს წარმოადგენს. ამ ცნობებს ემატება დოკუმენტები ურბანის საპაპო სასწავლებლის რამდენიმე ქართველი სტუდენტის შესახებ, რომლებიც მღვდლად ხელდასხმის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდნენ, ქართულ-რომაული ურთიერთობების „დესპანებად“ იქცნენ და საბჭოთა რეპრესიების დადგომამდე ემსახურებოდნენ თავიანთ საკრებულოებს.

დღეს ჩვენთვის დიდი პატივია განვაცხადოთ, რომ ჩვენი პოლიტიკური და რელიგიური ურთიერთობები საუკუნეებს ითვლის. მართალია, იმ სამწუხარო პერიოდებში, როცა საქართველო დამოუკიდებლობას კარგავდა, ეს ურთიერთობებიც წყდებოდა, მაგრამ ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე, საერთო ქრისტიანულ საფუძველზე დამყარებული ძმური ურთიერთობები კვლავ აღორძინდებოდა ხოლმე. ვისურვოთ, რომ ორმხრივი მეგობრული ურთიერთობები კიდევ უფრო განვითარდეს ორივე მხარის - თქვენი ქვეყნისა და წმიდა საყდრის სასიკეთოდ, რომელიც აქ წარმოდგენილია წმიდა საყდრის დესპანის მიერ, ელჩისა და დიპლომატიური კორპუსის დუაიენის რანგში, წმიდა საყდრისა, რომელიც ადგილობრივ კათოლიკური საკრებულოს და მისი სამივე წესის - ლათინურის, სომხურისა და ქალდეურის „დედაა“. საქართველოს კათოლიკენი, როგორც საქართველოს მოქალაქენი, აქაური საზოგადოებისა და ქვეყნის ნაწილნი არიან, მაგრამ, ამავე დროს, მიეკუთვნებიან დიდ კათოლიკურ ოჯახს, რომელიც ყველა ქრისტიანისთვის ღვიძლი დაა, ხოლო ყველა კეთილი ნების ადამიანისთვის - ერთგული მეგობარი.

ამ კონტექსტში, მსურს გავიხსენო, რომ 1992 წელს დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შემდეგ, წმიდა საყდარმა საქართველოში მიავლინა თავისი პირველი წარმომადგენელი, არქიეპისკოპოსი ჟან-პოლ გობელი, რომელიც წმიდა საყდრის დესპანის მოვალეობების გარდა, ადგილობრივი კათოლიკური ეკლესიის მოძღვრის უმნიშვნელოვანეს ფუნქციასაც ასრულებდა კავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორის რანგში. წელს, 1993 წლის 30 დეკემბერს დაარსებულ ამ საეკლესიო ერთეულს 25 წლისთავი უსრულდება. 1996 წლიდან, სამოციქულო ადმინისტრატორი გახლავთ ჩემს მიერ ნახსენები და აქ დამსწრე დაუდალავი მონსინიორ ჯუზეპე პაზოტო. მთელი ამ წლების მანძილზე, კათოლიკური საკრებულო ქართველი ერის სამსახურში იდგა მისთვის ჩვეული ყველა ფორმით, როგორც ევანგელიზაციისა და ქველმოქმედების განხორციელების საშუალება. მის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მომენტი გახლდათ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დარეგისტრირება 2011 წელს, რამაც მას საშუალება მისცა მეტი შემართებით ეღვაწა საკუთარი მისიის შესასრულებლად. ეს მნიშვნელოვანი მოვლენა პაპმა ბენედიქტე XVI-მ ახსენა 2012 წლის დასაწყისში, წმიდა საყდართან აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან შეხვედრისას წარმოთქმულ სიტყვაში.

ასევე მსურს შეგახსენოთ, რომ მომავალ წელს „საქართველოს კარიტასს“, რომელიც ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებს, უპოვართა სასარგებლოდ გაწეული საქველმოქმედო საქმიანობის 25 წელი უსრულდება. ამ ხნის მანძილზე მას სხვა რელიგიურმა ორდენებმაც აუბეს მხარი (ქველმოქმედების მისიონერები, წმინდა ელისაბედის ორდენის მონაზვნები, კამილელები, სტიგმატელები, სალელები, კაპუცინები) სნეულთა, ბავშვთა, მოხუცთა, ლტოლვილთა, ემიგრანტთა და ყველა გაჭირვებულთა დასახმარებლად, განურჩევლად მათი ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილებისა, რითაც აღასრულებენ კათოლიკური ეკლესიის ჭეშმარიტ მისიას, რომელიც ყოველ ადამიანზე ზრუნვას გულისხმობს.

განსაკუთრებული ძალისხმევით ახორციელებდა ეკლესია ჰუმანიტარულ საქმიანობას საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებში, როცა ქვეყანაში ელემენტარული საცხოვრებელი პირობებიც არ იყო (საკვები, ტანსაცმელი, გათბობა...). ჰუმანიტარული საქმიანობა გაგრძელდა 2008 წლის ომის დროსაც, როცა საჭირო გახდა დევნილებსა და ომის შედეგად გადატარებულ მოსახლეობაზე ზრუნვა. იმ ტრაგიკულ პერიოდში განსაკუთრებული როლი ითამაშა ისევ წმიდა საყდრის დესპანმა, მისმა აღმატებულებამ მონსინიორ კლაუდიო გუჯეროტიმ, რომელიც დღეს უკრაინაში წარმოადგენს პაპს. წმიდა საყდრის სიახლოვისა და კონკრეტული მხარდაჭერის გამოსახატად, იგი დაუყოვნებლივ და პირადად გაემგზავრა გორში, რათა პირველი ჰუმანიტარული ტვირთი ჩაეტანა იქაური მოსახლეობისთვის.

წელს 10 წელი შესრულდა ამ კონფლიქტიდან, რომელმაც გამოიწვია ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთზე კონტროლის დაკარგვა. წმიდა საყდარმა ამ მოვლენას სარედაქციო წერილი მიუძღვნა თავის გაზეთ „ოსერვატორე რომანოში“. ეს ერთგვარად ეხმიანება პაპ ბენედიქტე XVI-ს მიერ 2008 წლის 10 და 17 აგვისტოს, *ანგელუსის* ლოცვის დროს, წმიდა პეტრეს მოედანზე გაკეთებულ ორ განცხადებას, რომლებშიც გამოთქმული იყო მოწოდება სამხედრო მოქმედებების შეწყვეტის, დაზარალებულთათვის დახმარების გაწევისა და ევროკავშირის მონაწილეობით მიღწეული ზავის შენარჩუნების შესახებ. 10 წლის შემდეგ და ქენევაში ჩატარებული 40-ზე მეტი შეხვედრის მიუხედავად, ჯერაც არ გადაწყვეტილა უამრავი პოლიტიკური თუ ჰუმანიტარული საკითხი. ამასთან, ჯერაც შეუსრულებელია გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის არაერთი რეზოლუცია იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ. ამასთან დაკავშირებით, დღესაც აქტუალურია პაპ ფრანცისკეს მიერ 2016 წელს, საქართველოში ვიზიტისას წარმოთქმული სიტყვები, რომლითაც პონტიფექსმა შეგვახსენა, რომ რეგიონის ხალხებისა და სახელმწიფოების მშვიდობიანი თანაარსებობისთვის „აუცილებელია მათ შორის ურთიერთპატივისცემის განმტკიცება, რაც უცილობლად გულისხმობს თითოეული მათგანის სუვერენული უფლებების პატივისცემას და მათთვის ანგარიშის გაწევას საერთაშორისო სამართლის ფარგლებში“. მან ასევე ისურვა, რომ „მშვიდობისა და განვითარების გზაზე ხელიხელჩაკიდებულს ევლო საზოგადოების ყველა წევრს, რაც შექმნიდა სტაბილურ, სამართლიანსა და კანონისადმი პატივისცემით აღსავსე გარემოს, რომელიც უზრუნველყოფდა საზოგადოების ზრდას და ყველასთვის ხელსაყრელი შესაძლებლობების შექმნას“. ჩემი მხრივ, ვიტყვოდი, რომ კავკასიის რეგიონში არსებული კონფლიქტების ფონზე, წმიდა საყდარი გულისტკივილით განიცდის ამ კონფლიქტების შედეგად დაზარალებული ადამიანების ტანჯვას და იმ სავალალო შედეგებს, რომელიც ყოველ ასეთ დაპირისპირებას მოაქვს ერების მშვიდობიანი თანაარსებობისთვის, ერებისა, რომელთაც უფლება აქვთ იცხოვრონ ჰარმონიასა და მშვიდობაში. რაც შეეხება საქართველოს, წმიდა საყდარი ყოველთვის იმ პოზიციაზე იდგა, რომ ქვეყნის ტერიტორიასა და საზღვრებთან დაკავშირებული საკითხები საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით უნდა გადაწყდეს.

წმიდა საყდარსა და საქართველოს ურთიერთობების მნიშვნელოვან მოვლენებს შორის, პაპების - წმინდა იოანე პავლე II-ის 1999 წლის და ფრანცისკეს 2016 წლის სამოციქულო ვიზიტების გარდა, უნდა გავიხსენოთ საქართველოს პრეზიდენტების ოფიციალური ვიზიტები ვატიკანში, მათ შორის მისი აღმატებულება გიორგი მარგველაშვილის ბოლო ვიზიტი 2015 წლის 10 აპრილს, აგრეთვე საქართველოს ხელისუფლების სხვა წარმომადგენელთა სტუმრობა ვატიკანში და რამდენიმე კარდინალისა და რომის სახვადასხვა უწყებების წარმომადგენელთა ვიზიტები

საქართველოში. დავუმატებ, რომ ჩემი წინამორბედი, მისი აღმატებულება დომინიკ მამბერტიც ოფიციალური ვიზიტით ეწვია საქართველოს 2014 წლის სექტემბერში.

გვერდს ვერ ავუვლით ნაყოფიერ კულტურულ თანამშრომლობასაც. როგორ არ გავიხსენოთ, მაგალითად, წმინდა იოანე პავლე II-ის პიესის, *ოქრომჭედლის სახელოსნოს* დადგმა ქართულ ენაზე, თბილისის სახელმწიფო თეატრში, ჯერ კიდევ 90-იან წლებში? კაროლ ვოიტილამ ეს პიესა 1960 წელს დაწერა, როცა ჯერ კიდევ კრაკოვის ეპისკოპოსი გახლდათ. პიესის ქართულ სცენაზე დადგმას მოჰყვა არაერთი სხვა ინიციატივა: ქართველი სტუდენტების - საერო პირთა თუ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდლების მიღება რომის საპაპო უნივერსიტეტებში; მეუფე ჯუზეპე პაზოტოს ინიციატივით შექმნილი თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტის მოღვაწეობა; რომში მოწყობილი უამრავი კონფერენცია, მიღებები, გამოფენები, რომელთა ორგანიზებაშიც უდიდესი ძალისხმევა გასწიეს წმიდა საყდართან საქართველოს ელჩებმა: ჯერ მისმა მეფურმა უდიდებულესობამ პრინცესა ქეთევან ბაგრატიონ მუხრანელმა-ორსინიმ, შემდეგ კი მისმა აღმატებულებამ დოქტორმა თამარ გრძელიძემ, რომელსაც მსურს გულითადი მადლობა მოვახსენო ამ ხუთი წლის მანძილზე მეგობრული და მჭიდრო თანამშრომლობისთვის. ამასთან, ქალბატონი თამარი გახლავთ კოორდინატორი წიგნისა „რომი და ქართველები“, რომელიც გასულ წელს გამოიცა რომში ჩვენს ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წლისთავთან დაკავშირებით და რომელიც ქართულ-რომაული ურთიერთობების მრავალსაუკუნოვან ისტორიას მოგვითხრობს.

ნება მიბოძეთ, ჩემი მოხსენება დავასრულო წმინდა მამის, ფრანცისკეს სიტყვებით, რომლებიც, გარკვეულწილად, აჯამებს ჩემს დღევანდელ მოხსენებას. 2017 წელს, დიპლომატიურ კორპუსთან ტრადიციული საახალწლო შეხვედრის დროს, პაპი მშვიდობის თემასაც შეეხო და თქვა: „მშვიდობა საჩუქარი, გამოწვევა და ძალისხმევაა. საჩუქარი იმიტომ, რომ თვით ღმერთის გულიდან გადმოედინება; გამოწვევა იმიტომ, რომ სიკეთეა, რომელიც თავისით არ მოდის და მუდმივად უნდა მოიპოვო; ძალისხმევა კი იმიტომ, რომ მოითხოვს ყოველი კეთილი ნების ადამიანის თავდადებულ შრომას მის მოსაპოვებლად და დასამყარებლად. ამიტომაც, ჭეშმარიტი მშვიდობის მისაღწევად ისეთი ხედვაა საჭირო, რომელიც ადამიანის ტრანსცენდენტულ ღირსებას ითვალისწინებს და მის ყოველმხრივ განვითარებას გულისხმობს“.

გმადლობთ ყურადღებისათვის.